



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

კომისიის შეხვედრა

თარიღი: 17 თებერვალი, 2020 წელი

დრო: 15:30 -17:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია - თბილისის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
3. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

17 თებერვალს გაიმართა შემფასებელი კომისიის შეხვედრა, რომელმაც უნდა განიხილოს, პროგრამული მხარდაჭერის ფარგლებში შემოსული საპროექტო განაცხადები. კომისიამ უკვე ჩაატარა 2 შეხვედრა, რომელზეც მათ დეტალურად განიხილეს საპროექტო განაცხადები. ჩამოყალიბდა კონკრეტული კითხვები, ასევე საკითხები რომლებიც მოითხოვს დაზუსტებასა და დაკონკრეტებას. დაზუსტებისთვის, ყველა აპლიკანტს გადაეგზავნა შეკითხვები და რეკომენდაციები.

სამდინომ, განსაზღვრულ ვადაში, მიიღო მოთხოვნილი ინფორმაციები საპროექტო განაცხადების ძირითადი აპლიკანტებისგან, რაც გაზიარებულ იქნა შემფასებელი კომისიის წევრებთან.

კომისიამ განიხილა ყველა საპროექტო განაცხადი და წინასწარ მომზადებული შეფასების ცხრილის შესაბამისად დაიწყო მათი შეფასების პროცესი.

შემფასებელმა კომისიამ შეაფასა 6 საპროექტო განაცხადი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოსული 7 საპროექტო განაცხადიდან, 1 განაცხადი მოხსნილი იქნა კონკურსიდან, რადგან ავტორებს წარმოდგენილი არ ქონდათ პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი.

შესაფასებელი განაცხადებიდან 4 საპროექტო განაცხადი შეაფასა ყველა (ხუთივე) კომისიის წევრმა. მათ შემთხვევაში გამსვლელი ქულა იყო 25. ხოლო 2 საპროექტო განაცხადი შეაფასა 4-მა კომისიის წევრმა და ამ შემთხვევაში გამსვლელ ქულად განისაზღვრა - 20. ინტერესთა კონფლიქტის გამო შემფასებელი კომისიის ერთმა წევრმა აირიდა 2 განაცხადის შეფასება.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურამე